ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

მარიამ გიუნაშვილი

სალომე ჯღარკავა

# დისტანციური სწავლების  დანერგვის გამოწვევები და უპირატესობები

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

თბილისი - 2023

## სარჩევი

ანოტაცია ..... 3
Annotation ..... 4
შესავალი ..... 5
§1. თეორიული ჩარჩო ..... 7
1.1 ონლაინ სწავლების გამოწვევების მიმოხილვა საქართველოს მაგალითზე ..... 7
1.2 სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილება დისტანციური სწავლების მიმართ ..... 7
§2. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია ..... 9
2.1 კვლევის ობიექტი ..... 9
2.2 კვლევის მიზანი და ამოცანები ..... 9
2.3 საკვლევი ამოცანების შესასრულებლად დასმულია შემდეგი ძირითადი ჰიპოთეზები ..... 11
2.4 პირველადი სოციალური ინფორმაციის მოპოვების ძირითადი მეთოდის დახასიათება ..... 12
§3. კვლევის შედეგები და მათი განსჯა ..... 13
3.1 კვლევის შეზღუდვები ..... 13
3.2 კვლევის შედეგები ..... 14
3.3 ძირითადი მიგნებები ..... 29
3.4 შემაჯამებელი დასკვნა ..... 36
ბიბლიოგრაფია ..... 39

ანოტაცია

ონლაინ სწავლა არის პროცესი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს საშუალებას აძლევს, განათლების მიღების, მაშინაც კი, როდესაც ინფორმაციის გამცემი და მიმღები ერთმანეთისგან არიან დაშორებულნი.ონლაინ სწავლება შეგვიძლია განვიხილოთ, განათლების მიღების ისეთ საშუალებად, რომელიც სხვა დანარჩენ სიკეთესთან ერთად დაკავშირებულია მატერიალური თუ ფინანსური რესურსების შესამჩნევ დაზოგვასთან. ჩვენთვის ცნობილია, რომ ელექტრონული კურსების დაგეგმვა აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში. მათ შორის გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტი და სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის წარმოუდგენელი იყო განათლების მიღება დისტანციურად ქვეყნის საზღვრებს გარეთ მდებარე უნივერსიტეტებში, სწორედ ეს შეგვიძლია განვიხილოთ დისტანციური სწავლების მთავარ უპირატესობად. სტუდენტს შეუძლია, პარალელურად ისწავლოს რამდენიმე უნივერსიტეტში, ქვეყნიდან გაუსვლელად. ვერ ვიტყვით იმას, რომ ამ შემთხვევაში განათლების ხარისხი ეცემა ან არ არის ისეთივე შედეგის მომტანი, როგორც აუდიტორიული მეცადინეობების დროს. საქართველოსა და მსოფლიოს განათლების სისტემა, დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, კოვიდ პანდემიის პერიოდში, სწავლების პროცესის სრულად დისტანციურ რეჟიმზე ადაპტირება არ გამოდგა მარტივი პროცესი, თუმცა იყო კარგი გამოცდილება, განათლების სისტემისთვის, რათა მომავალში შეძლონ სინქრონული ან სრულად დისტანციური მეთოდის შეთავაზება სტუდენტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა განათლების ხარისხის ამაღლებას.

## Annotation

Online learning is a process that allows any person to receive education, even when the information giver and receiver are far from each other. We can consider online learning as a means of receiving education, which, along with other benefits, is related to the economy of material or financial resources. It is known to us that the planning of e-courses is actively underway in different universities of Georgia. Among them are Tbilisi State University, Technical University of Georgia and Sulkhan-Saba Orbeliani Tbilisi State University. A few years ago, it was unthinkable for many countries in the world to receive education remotely in universities outside the country's borders, and this is what we can consider as the main advantage of distance learning. A student can simultaneously study in several universities without leaving the country. We cannot say that in this case the quality of education decreases or is not as productive as during classroom lessons. The education system of Georgia and the world faced great challenges, during the covid pandemic, it was not possible to adapt the teaching process to a fully remote mode, a simple process, although it was a good experience for the education system, so that in the future they can offer a synchronous or fully remote method to students, which will help students raising the quality of education.

## შესავალი

2019 წლის ბოლოს მსოფლიო კორონა ვირუსის პანდემიამ მოიცვა. საქართველოში კორონა ვირუსი ფართო მაშტაბით დაფიქსირდა მარტის ბოლოს. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო გლობალური პრობლემა, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო ადამიანის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, თუმცა ადამიანის უსაფრთხოებისა და გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გარდა ცხოვრების სხვა ყველა ასპექტზე მოახდინა გავლენა. შეცვლილმა ცხოვრების რიტმმა განათლების სისტემაც უდიდესი სირთულის წინაშე დააყენა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც განათლების საკითხით დაინტერესებული და კომპეტენტური პირები დადგნენ, სწავლის პროცესის დისტანციური ფორმატია. ამ დროის განმავლობაში, როგორც ლექტორებისთვის ასევე სტუდენტებისთვის გამოიკვეთა გამოწვევები და უპირატესობები, რომელთა წინაშეც სასწავლო პროცესში შეტანილი მოულოდნელი ცვლილებების შემდეგ აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, პანდემიის დროს გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ სწავლა გაეგრძელებინათ თვითიზოლაციის რეჟიმში, უსაფრთხო გარემოში ესწავლათ. ასევე დისტანციური სწავლება ფინანსური და მატერიალური კუთხით ხელსაყრელია, აუდიტორიულ მეცადინეობებთან შედარებით, რაც გამოწვეულია შემდეგი რიგი ფაქტორებით, მაგალითად: მგზავრობის, ცხოვრების და თვით სწავლის პროცესის ნაკლები ხარჯებით.

ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნოს ის ფაქტი, რომ დისტანციური სწავლება კომფორტული და ხელსაყრელია შეზღუდული შსაძლებლობის მქონე პირთათვის. Brandon Hall Group-ის მიერ ჩატრებული კვლევის მიხედვით, დისტანციური სწავლა 40% დან 60%მდე უფრო ნაკლებ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ვიდრე იგივე მასალის შესწავლა აუდიტორიული მეცადინეობების დროს. თუმცა ამ უპირატესობებთან შედარებით, რა თქმა უნდა, არაერთი ნაკლოვანება გამოიკვეთა, რომლებმაც სტუდენტთა ცხოვრების რიტმის მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. ასევე ზოგიერთ სტუდენტებს ვისაც პრაქტიკული ცოდნის მიღბა აუდიტორიებში ესაჭიროებათ მაგალითაც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებს, არ ჰქონდათ საშუალება რომ ემუშავათ ლაბორატორიებში

და მიეღოთ სრულყოფილი ცოდნა. ასევე ინტერნეტ კავშირის არარსებობამ და ხშირ შემთხვევაში გაუმართაობამ გამოიწვია სასწავლო პროცესის შეფერხება. ასევე წარმოიშვა უმუშევრობის პრობლემა უფრო მეტად, სტუდენტებს აღარ ჰქონდათ საშუალება, რომ ემუშავათ უნივერსიტეტის შემდეგ და სწავლის საფასური გადაეხადათ, ამიტომ ბევრი სტუდენტი აღმოჩნდა აკადემიურის აღების კანდიდანტი. რეგიონში მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა ონლაინ რეჟიმში ლექციების მოსმენა, რადგან მათ არ ჰქონდათ ხელსაყრელი გარემო-პირობები, ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა ინტერნეტი და კომპიუტერი. ონალინ სწავლებამ გამოიწვია ახალაგაზრდა თაობის უფრო მეტად მიჯაჭვულობა კომპიუტერთან, რამაც ჯანმრთელობის პრობლემები შუქმნა ბევრ მათგანს.

2008-2011 წლებში UC Davis უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ონლაინ სწავლის დროს საგნების ჩაბარება 11 %-ით ნაკლებია. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა და უკეთ შგვესწავლა დისტანციური სწავლის უპირატესობები და გამოწვევები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრისა და მაგისტრატურის საფეხურზე.

## §1. თეორიული ჩარჩო

### 1.1 ონლაინ სწავლების გამოწვევების მიმოხილვა საქართველოს მაგალითზე

პანდემიის გამო საქართველოში ყველა სკოლა  და უნივერსიტეტი დაიხურა,  გადავიდა დისტანციური სწავლების მეთოდზე. დისტანციურ სწავლებას თან ახლდა მრავალი პრობლემა. ამ სწავლებისთვის მასწავლებლები, ლექტორები, სტუდენტები თუ მოსწავლეები აღმოჩნდა, რომ  მზად არ იყვნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ერთადშეიმუშავეს რეკომენდაციები, რაც დაეხმარა საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოეხდინათ საკუთარი სასაწავლო გეგმის მოდიფიცირება, ისე რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და ამოცანები შესრულებული ყოფილიყო.

განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნივერისტეტებს შესთავაზა Zoom-ის  პროგრამა. ამ პროგრამის საშუალებით სტუდენტებს საშუალება მიეცათ არ ჩამორჩენილიყვნენ სასწავლო პროცესს და წარმართულიყო წარმატებით მათი განათლების პროცესი. თუმცა უნივერსიტეტები ასევე იყენებდნენ ალტერნატიულ საკომუნიკაციო საშუალებებსაც Zoom, Skype, facebook, Messenger, WhatsApp.

### 1.2 სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილება დისტანციური სწავლების მიმართ

უკრაინა

უკრაინის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტია ადმიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ამის გამო უკრაინაში არსებული სამინისტროები და საგანმანათლებლო სამსახურები ცდილობდნენ მიეღოდ შესაბამისი ზომები კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით.

12 მარტიდან კორონა ვირუსის გამო ყველა სასწავლო დაწესებულება კარანტინის რეჟიმში ჩადგა. დისტანციური სწავლება დაიგეგმა 3 კვრიის ვადით, განათლება მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში. უკრაინის პრეზიდენტის ზელენსკის გადაწვეტილებით გამოცხადდა უკრაინის ნაციონალური ონლაინ სკოლის პროექტი,

რომლსი მიზანი იყო მოსწავლეების ჩართვა და დაინტერესება და ტელეგაკვეთილების წარმართვა დაეწყოთ მოსწავლეებს, რაც გამოიწვევდა უფრო მეტ ინტერესსა და განათლების დონის გაუმჯობესებას.

აშშ

აშშ-ში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო მოსწავლეთა და სტუდენტთა სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მათი მხრიდან მოხდა მობილიზება და აღჭურვა კომპიუტერითა და ინტერნეტის წვდომის უზრუნველყოფით. ასევე მოხდა ლექტორების მზაობა მეთოდოლოგიური კუთხით.

ზოგიერთმა სასწავლო ოლქმა მიიჩნია, რომ ახალი მასალის ათვისება სტუდენტებისთვის რთული პროცესი იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ განავლილი მასალა გაემეორებინათ, რათა ბუნდოვანი საკითხები სტუდენტებისთვის მარტივად აღქმადი გამხდარიყო.

ხოლო სასწავლო ოლქების მეორე ნაწილისთვის აუცილებელი იყო ახალი მასალის ათვისება, რადგან სტუდენტები არ უნდა ჩამორჩენილიყვნენ სასწავლო გეგმას და მათ განათლების ხარისხს კოვიდ პანდემია არ უნდა დატყობოდა.

## §2. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია

### 2.1 კვლევის ობიექტი

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში დასმული პრობლემა ეხება საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლის ლექტორებს, სტუდენტებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. კვლევის ობიექტი კი ამ შემთხვევაში გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები.

### 2.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ დისტანციური/სინქრონული სწავლების უპირატესობები და გამოწვევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფეხურზე

მიზნის მისაღწევად კი დავსახეთ შემდეგი ამოცანები :

- გვსურს გავაანალიზოთ სავარაუდოდ რა შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს სწავლების დისტანციური/სინქრონული რეჟიმის დანერგვა საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში.
- გვსურს დავადგინოთ, შეიცვალა თუ არა სტუდენტთა ეკონომიკური ხარჯები პანდემიის დროს, სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისას.
- გვსურს შევისწავლოთ შეიცვალა თუ არა და როგორ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ხარისხი სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის პარალელურად.

- დადგენა იმისა, თუ რამდენად არიან სტუდენტები დისტანციური/სინქრონული სწავლებისთვის აღჭურვილნი საჭირო ტექნიკით.
- გვსურს დავადგინოთ აქვთ თუ არა საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შესაბამისი რესურსი, რათა სუდენტებს შესთავაზონ ხარისხიანი სწავლების სინქრონული ან სრულად დისტანციური მეთოდი.
- გვსურს შევისწავლოთ რა გავლენა შეიძლება მომავალში ჰქონდეს სწავლების დისტანციურ მეთოდს სტუდენტთა ჯანმრთელობაზე.

აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენს კვლევას აქვს თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მიზანიც. კვლევის პრაქტიკული მიზანი გახლავთ მომავალში გაიზარდოს ონლაინ სწავლების ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება რამდენიმე ამოცანის დასახვა.

- პირველ რიგში, ვფიქრობთ, ღირებული იქნება ონლაინ სწავლების პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარდეს სხვადასხვა სახის პრეზენტაციები თსუ - ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, როგორც ლექტორების ასევე სტუდენტებისა და სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც არ ჰქონიათ რაიმე სახის გამოცდილება ამ კუთხით.
- აუცილებელია მომავალში შერჩეულ იქნეს ეფექტური დისტანციური სწავლებისთვის შესაბამისი დამხმარე პლატფორემები.
- საჭიროა საქართველოში არსებულმა უნივერსიტეტებმა გამონახონ სათანადო რესურსი, რათა სოციალურად დაუცველ სტუდენტებს გადაეცეთ საჭირო ტექნიკა და მათ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ სწავლების აღნიშნულ მეთოდში ჩართვა.

**2.3 საკვლევი ამოცანების შესასრულებლად დასმულია შემდეგი ძირითადი ჰიპოთეზები:**

$H_o1$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტენტები, მათი ტექნიკური უნარ-ჩვევების მიხედვით, მზად არიან დისტანციურ სწავლაში მონაწილეობისთვის.

$H_a1$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტენტები, მათი ტექნიკური უნარ-ჩვევების მიხედვით, მზად არ არიან დისტანციურ სწავლაში მონაწილეობისთვის.

$H_o2$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ყველა სტუდენტს არ აქვს ონლაინ სწავლისთვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური ბაზადა გამართული ინტერნეტკავშირით.

$H_a2$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის.ბაკალავრიატის ყველა სტუდენტს აქვს ონლაინ სწავლისთვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური ბაზა.

$H_o3$: მას შემდეგ, რაც სწავლა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის მხოლოდ დაბალი კურსის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელიგაუმჯობესდა.

$H_a3$: მას შემდეგ, რაც სწავლა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ყველა კურსის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი გაუმჯობესდა.

$H_o4$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუმცირდათ სწავლის ფინანსური/მატერიალური ხარჯები მას შემდეგ, რაც სწავლა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე.

$H_a4$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების ფინანსური/მატერიალური ხარჯები არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც სწავლა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე.

$H_o5$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებს არ აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მიღების საშუალება დისტანციური სწავლის პირობებში.

$H_a5$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მიღების საშუალება დისტანციური სწავლის პირობებში.

$H_o6$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის რეგიონებში მცოვრები სტუდენტები განიცდიან სწავლის პროცესის შეფერხებას.

$H_a6$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის რეგიონებში მცხოვრები სტუდენტები არ განიცდიან სწავლის პროცესის შეფერხებას.

$H_o7$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ყველა მიმართულებაზე შეიცვალა ცოცხალი ინტერაქციები ალტერნატიული ურთიერთობებით.

$H_a7$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ყველა მიმართულებაზე არ შეცვლილა ცოცხალი ინტერაქციები ალტერნატიული ურთიერთობებით.

$H_o8$: ონლაინ სწავლა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

$H_a8$: ონლაინ სწავლა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას არ ახდენს.

$H_o9$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტები მეტად განიცდიან ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას ონლაინ სწავლის პირობებში, ვიდრე სხვა კურსის სტუდენტები.

$H_a9$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტები ისევე განიცდიან ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას ონლაინ სწავლის პირობებში, როგორც სხვა კურსის სტუდენტები.

$H_o10$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ის სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ მრავალშვილიან ოჯახებში, არ არიან უზრუნველყოფილნი ფსიქოლოგიური პირადი სივრცით, სადაც მშვიდ ატმოსფეროში შეძლებენ ონლაინ ლექციების მოსმენას.

$H_a10$: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ის სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ მრავალშვილიან ოჯახებში, არიან უზრუნველყოფილნი ფისქოლოგიური პირადი სივრცით, სადაც მშვიდ ატმოსფეროში შეძლებენ ონლაინ ლექციების მოსმენას.

## 2.4 პირველადი სოციალური ინფორმაციის მოპოვების ძირითადი მეთოდის დახასიათება

კვლევა ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. მივიჩნიეთ, რომ ეს მეთოდი ყველაზე მეტად ერგება ჩვენი კვლევის სპეციფიკას. მოგეხსენებათ, რომ ფოკუს ჯგუფი არის ჯგუფური ინტერვიუს სახეობა, რომლის მიმდინარეობაც გარჯვეულ წესებს ექვემდებარება და ახასიათებს სპეციფიკური მიზნები. ამ მეთოდის დახმარებით შეგვიძლია ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღოთ საკვლევი საკითხის შესახებ ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შეხედულებების, განწყობების შეფასების გათვალისწინებით.

ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთ უპირატესობად, სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, შეგვიძლია ასევე მივიჩნიოთ ის, რომ მონაწილეთა შორის გამართული დისკურსია გვაძლევს საშუალებას ეტაპობრივად აღვწეროთ თითეული რესპოდენტის აზრის ჩამოყალიბების პროცესი. ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ რა ფაქტორები განაპირობებს მათ ამგვარ დამოკიდებულებას. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთ ღირებულებას წარმოადგენს ასევე ის, რომ რესპოდენტები, როგორც წესი, არიან ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ასე ვთქვათ, იმყოფებიან ერთ მდგომარეობაში. რესპოდენტები ამ ვითარებაში თავს მეტად კომფორტულად გრძნობენ, არიან მეტად ღია და გულწრფელი. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობებისა, ეს მეთოდი გვეხმარება ხელშესახები ინფორმაციის მოკლე დროში მიღებასა და გაანალიზებაში. ყველა აქ ჩამოთვლილის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენს კვლევაში გამოვიყენოთ ფოკუს ჯგუფის მეთოდი. მივიჩნიეთ ეფექტურ მეთოდად, რათა ვიკვლიოთ სინქრონული/ სრულად დისტანციური სწავლების დამკვიდრების გამოწვევები და უპირატესობები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფეხურზე.

## §3. კვლევის შედეგები და მათი განსჯა

### 3.1 კვლევის შეზღუდვები

ჩვენი კვლევის მეთოდის შეზღუდვა არის ის, რომ კვლევა არ გახლავთ რეპრეზენტატული. აღნიშნული მეთოდით ჩატარებული კვლევა არ უნდა იყოს განზოგადებადი. ჩატარებული კვლევა ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ მხოლოდ ის კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა. შედეგები ვალიდურია მხოლოდ კონკრეტულ შერჩევაზე, თუმცა კვლევის ფარგლებში დასახელებული პრობლემები თუ ძირითადი მიგნებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალში მაშტაბური რეპრეზენტატული კვლევის ჩასატარებლად.

## 3.2 კვლევის შედეგები

სტუდენტთა უმრავლესობის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი სწვლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა ფოკუს ჯგუფის დაკვირვების მიხედვით. ამ ყველაფრის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი ჩამოთვალეს: ლექციათა ჩანაწერის რამდენჯერმე მოსმენის საშუალება, გამოცდებისა და ტესტების სახლში წერა ასევე კომფორტული გარემო გამოცდების წერის პროცესში სასწავლო მასალისა და კონსპექტების ნახვის შესაძლებლობა. ასევე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საგამოცდო მასალის, ტესტებისა და დავალებების დაწერაში სტუდენტები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, რაც აისახებოდა მაღალ ქულებზე.

„ რა თქმა უნდა, ჩემიც გაიზარდა, რადგან გამოცდებისა და ქვიზების წერა ნაკლებად სტერულ გარემოში გვიწევს, ასევე საშუალება გვაქვს გამოვიყენოთ კონსპექტები, ასევე შეგვიძლია რამდენჯერმე მოვუსმინოთ ლექციის ჩასნაწერს, რაც ხელს გვიწყობს გამოცდების უკეთ დაწერაში, ამიტომ ჩემი აკადემიური მოსწრება გაიზარდა წინა სემესტრში და ვვარაუდობ, რომ ახლაც გაიზრდება“ (იურიდიული ფაკულტეტი მეოთხე კურსი)

ამგვარი სახით სხვა კვლევებშიც გამოვლინდა იდენტური შედეგები. კლაუდია სალსედოსა (Salcedo, 2010) და ბიგელოუსის ( Bigelow, 2009) კვლევებიდან ირკვევა, რომ მეტი თავისუფალი დროის გამო, სტუდენტები უფრო მეტ ნაშრომებს წერენ და აკეთებენ ჯგუფურ პროექტებს, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტუდენტები უფრო მეტს კითხულობენ, რაც ხელს უწყობს მათი ცოდნის გაუმჯობესებას.

პოლისა და ჯეფერსონის (Paul & Jefferson, 2019) კვლევის შედეგებიდან გაირკვა, რომ თუ სტუდენტს დისტანციური სწავლების დროს არ მოსწონდა რომელიმე საგნის მასალა, ისინი მალევე ამბობდნენ უარს მათთვის არასასურველ საგანზე. სხვადასხვა უსიამოვნო ფაქტის დროს, მათ სწავლაზე ხელის აღება ,იმიტომ არ უჭირთ, რომ ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ , ამ შემთხვევაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითდისციპლინასა და მოტივაციას.

ერთ-ერთმა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ თქვა რომ მისი აკადემიური მოსწრების ხარისხი შემცირებულია დისტანციური სწავლების პერიოდში. მიზეზად დაასახელა ონლაინ ლექციებზე დასწრების არაეფექტურობა. ამის გამო, მას დააკლდა აქტიურობისა და დასწრების ქულები, რომლებიც შეეძლო აენაზღაურებინა დავალებებით, თუმცა ასე არ მოიქცა.

სასწავლო მასალების ათვისების სირთულე და ონლაინ ლექციებით გამოწვეული დაღლილობა

ჯენიფერ მათესის (Mathes, 2019) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, დისტანციური სწავლების უპირატესობა მისი კომფორტულობაა, რადგან ონალინ ლექციებზე შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან ჩართვა, ასევე დაზოგვა დროისა და ბიუჯეტის. ამ ყოველივეს ადასტურებს მოცემული კვლევაც.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობა, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ონალინ ლექციები აუდიტორიაში ჩატარებულ ლექციებზე ნაკლებად დამღლელია. მათ აღნიშნეს ისეთი ფაქტები, როგორიცაა, ონლაინ ლექციების მოსმენა კომფორტულ გარემოში, ნებისმიერი ადგილიდან. ასევე აღნიშნეს, რომ ლექციის მოსმენა შეგიძლია მყუდრო გარემოში, ზედმეტი ხმაურის გარეშე. მათ ასევე აღნიშნეს ის ფაქტი, რომ აუდიტორიული მეცადინეობის დროს ეძინებოდათ და უნივერსიტეტში მისასვლელად ეხარჯებოდათ დრო, ამიტომ დისტანციური სწავლების დროს უფრო დიდხანს სძინავთ. ასევე , მათ კლევის მონაწილეებმა დაასახელეს ის ფაქტიც, რომ ლექციის მსვლელობის დროს სტუდენტებს საშუალება აქვთ ჭამის ან ყავის დალევის. მოსახერხებელია იმ მხრივაც, რომ თუ ვერ გაიგებ ამა თუ იმ საკითხს შეგიძლია მოუსმინო თავიდან ლექციის

ჩანაწერს  და უკეთ გაიგო, აღიქვა მასალა. აღნიშნული ფაქტები კი ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ლექციის სასიამოვნოდ მოსმენას უწყობს ხელს.

„ აუდიტორიული სწავლების დროს, კურსელებთან ურთიერთობის გამო, ყურადღება მეფანტებოდა და ვეღარ ვკონცენტრირდებოდი ლექციაზე, ახლა კი საშუალება მაქვს რომ თუ ვერ მოვისმინე ლექცია საფუძვლიანად, იმედი მაქვს რომ ვერგაგების შმთხვევაში, შემიძლია, რომ გადავხედო კიდევ ერთხელ ლექციის ჩანაწერს.თან თუ დიდხნიანი ლექციაა, ნაწილ-ნაწილ მოვუსმინო, დავისვენო შუალედში ვჭამო და აღვიდგინო ძალები. ამ მხრივ ძალიან მოსახერხებელია ონლაინ ლექციები“( სოციოლოგია,მეოთხე კურსი, თბილისი )

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთაგან ორმა სტუდენტმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ონალინ ლექციების მოსმენა მათთვის უფრო დამღლელი და მოსაბეზრებელია ვიდრე აუდიტორიაში ჩატარებული ლექციები. ასეთი განწყობის ჩამოყალიბება განაპირობებს შემდეგი ფაქტები: უშუალო ინტერაქციების არარსებობა და მთელი დღის განმავლობაში კომპიუტერთან ჯდომა და მოსმენა არა ლექტორის არამედ კომპიუტერის.

„ რამდენიმე საათის განმავლობაში იჯდე კომპიუტერთან და უყურო და ისმინო ლექცია ძალიან დამღლელი და მოსაბეზრებელია“( სოციოლოგია, მეოთხე კურსი, თბილისი)

მარისა შაფლერის (Shuffer) მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ეხმიანება მიღებული შედეგები, რომელიც ეხება შემდეგ საკითხს „Zoom-ის პლათფორმით გამოწვეული გადაღლა“(„Zoom fatigue”). აღინიშნა, ის ფაქტი, რომ ვიდეო შეხვედრები და რამდენიმე საათის განმავლობაში კომპიუტერთან ჯდომა იწვევს დაქანცვას.  (Mouzourakis, 2006).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ ონლაინ ლექციები ისეთივე დამღლელია, როგორც აუდიტორიაში ჩატარებული ლექციები. მისთვის დამღლელი და მოსაბეზრებელია, იმ საგნის ლექციებზე დასწრება, რომელიც მისთვის უინტერესოა.

„ჩემთვის დაახლოებით ერთნაირია როგორც ონალინ ლექციები ასევე აუდიტორიაში ჩატარებული ლექციები, რადგან საგნები, რომლებიც მაინტერესებს ონლაინაც ინტერესით ვუსმენ, ხოლო რომელი საგნებიც არ მაინტერესებს ონლაინაც არ ვუსმენ და

არც აუდიტორიაში, რადგან ორივეგან ყურადღება მეფანტება“ (პოლიტიკის მეცნიერება, მეოთხე კურსი, თბილისი)

რაც შეეხება მასალის ათვისებას, სტუდენტთა უმრავლესობისთვის სასწავლო მასალის ათვისება იგივე სირთულესთან არის დაკავშირებული, როგორიც აუდიტორიული სწავლისას იყო. მათ ამის მიზეზად დაასახელეს ერთი და იგივე სილაბუსით გათვალისწინებული მასალა.

„ ჩემთვის იგივენაირად არის, რადგან ხშირ შემთხვევაში მაინც ონლაინ მასალების წაკითხვა გვიწევდა (პოლიტიკის მეცნიერება მეოთხე კურსი, თბილისი)

ფოკუს-ჯგუფში მონაწილე სტუდენტთა ნაწილმა (3 სტუდენტი) აღნიშნა ის რომ სასწავლო მასალის ათვისება დისტანციური სწავლისას უფრო რთულია, მიზეზად ასახელებენ სოციალიზაციის შესაძლებლობის არქონას. სტუდენტებმა აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ონალინ სწავლების დროს ცოცხალი ინტერაქციის არ ქონა ფსიქოლოგიურ განწყობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

„გადავეჩვიეთ რეალურ კომუნიკაციებს, რაც უფრო რთულს ხდიდა ლექციაზე აქტირობას, რადგან გიჩნდება რაღაცნაირი კომპლექსი ადამიანს და ეს მოქმედებს რა თქმა უნდა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მასალის ათვისებასაც ხელს უშლის, იმიტომ რომ შეიძლება ადამიანი იმდენად ჩაკეტილი და უკონტაქტო გახადოს ონლაინ სწავლებამ, რომ დაკარგოს მოტივაციაც.“(ჟურნალისტიკის მიმართულება, მესამე კურსი, თბილისი)

ალენი და სიმანი კვლევაში (Allen & Seaman, 2011) ამტკიცებენ, იმ ფაქტს, რომ დისტანციური სწავლებისას სტუდენტებს უფრო მარტივად მიუწვდებათ ხელი სასწავლო მასალებზე, რადგან ისინი მოქცეულია ერთად, რასაც ადასტურებს კვლევაც.

ერთმა სტუდენტმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლების დროს გამარტივდა სასწავლო მასალის მოძიება. მან ძირითად ფაქტორად უნივერსიტეტის შემოთავაზებული პლათფორმა E-Leaening.tsu.ge დაასახელა, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კვირის მასალა.

„მასალების მოძიება უფრო მარტივი და მოსახერხებელი გახდა, რადგან ჩემი უნივერსიტეტის პლათფორმა E-Learning.tsu.ge რომ შევდივარ ყველა კვირის მასალა არის აღრიცხული, რაც ბევრად უფრო კომფორტულია ჩემთვის, აღარ მიწევს ძებნა სილაბუსის მიხედვით,რაც მეხმარება რაციონალურად გამოვიყენო დრო, თუმცა არიან ისეთი ლექტორებიც, რომლებიც არ ტვირთავენ მასალებს და ჩვენ თვითონ გვიწევს მასალების მოძიება სილაბუსის მიხედვით“( სოციოლოგია მეორე კურსი, თბილისი)

გამოცდების ეფექტურობა დისტანციური სწავლებისას

ჯაფეტ ბექმენის (Backman, 2019) მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ირკვევა, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ საგამოცდო კითხვებზე პასუხების გადაწერის, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს დისტანციურ რეჟიმში ჩატრებული გამოცდების ხარისხზე. სტუდნეტებმა დაასახელეს ის ხრიკები, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ. მათგან ყველაზე გავრცველებული მეთოდი ონალინ გამოცდის წერისას, თანატოლებთან ერთად, ინტერნეტსა და საკურსო მასალებში პასუხების ძებნა იყო. ეს ყოველივე კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული გამოცდების ხარისხზე, რადგან სტუდენტები არა საკუთარი ცოდნით, არამედ ინტერნეტის საშუალებით წერდნენ გამოცდებს. ამ ყოველივე მოცემული კვლევის შედეგებიც ცხადყოფს.

დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული გამოცდების კომფორტულობასთან ერთად, ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა არ არის კმაყოფილი უნივერსიტეტის მიერ შმოთავაზებული პლათფორმით (E-Learning-ის მიმართ). სტუდენტებს, დისტანციური სწავლების დროს ჩატარებული გამოცდები უხარისხოდ მიაჩნიათ. უკმაყოფილების მიზეზად შეგვიძლია განვიხილოთ

- E-Learning პლათფორმა, ხშირად იჭედება და მუშაობს შეფერხებით გადატვირთულობის გამო,
- ხარვეზი ინტერნეტთან დაკავშირებით,
- გადაწერის შესაძლებლობა საგამოცდო კითხვებზე პასუხების.

„ჩვენთვის კომფორტული იყო და არა ხარისხიანი. პირადად ჩემს მაგალითზე  პატიოსანი ცოდნით არაფერი არ დამიწერია, ეს ყოველივე რა თქმა უნდა , არ არის სწორი ქმედება. ასევე გამოცდის წერისას იყო ხარვეზი, როდესაც ამდენი სტუდენტი ერთ პლათფორმაზე შედიოდა, ჭედავდა და ხან საერთოდ არ ხსნიდა საგამოცდო საკითხებს. ვერც ვიწყებდით გამოცდას და ხან  დაწერილ გამოცდას ვერ ვაგზავნიდით, ამიტომ გვიწევდა ახლიდან დაგვეწყო გამოცდის წერა“(ჟურნალისტიკის მიმართულება, მესამეს კურსი, თბილისი)

კვლევაში მონაწილე სტუდენტისთვის დისტანციურ რეჟიმში გამოცდების წერა კომფორტულობასთან ერთად სტრესული აღმოჩნდა. მათ აღნიშნეს ის დადებითი ფაქტორები, რამაც გამოცდების წერა კომფორტული და მოსახერხებელი გახადა.

„რა თქმა უნდა, მეც ვეთანხმები, სახლიდან გამოცდების წერა კომფორტული შეიძლება იყოს. სტუდენტს შენ თვითონ შეგიძლია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თავს იგრძნობ კომფოპრტულად. თუმცა ეს ტექნიკური ხარვეზი იმდენად დიდ სტრესს გაყენებს 2-საათიან გამოცდას 4 საათის განმავლობაში წერ, რაც ფსიქოლოგიურ განწყობაზე მოქმედება , რადგან არ იცი ნამდვილად გაიგზავნება თუ არა შენი მთელი საათის განმავლობაში დაწერილი ნაშრომი. თუ ეს ტექნიკური პრობლემები მოგვარდება ნამდვილად იდეალური და კომფორტული იქნება სახლიდან გამოცდბის წერა, უბრალოდ რამდენად ხარისხიანია ასეთი სახის გამოცდები ეს არ ვიცი“(საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება მესამე კურსი, )

ჯონ სლობოდას (Sloboda, 2007) მიერ ჩატარებულ კვლევაში მსგავსი შედეგი გამოვლინდა, რომელიც ადასტურებს, რომ დისტანციურ რეჟიმში ჩატრებული გამოცდებისას სტენტების უდიდესი ნაწილი განიცდის სტერესს. სტრესი კი დაკავშირებული იყო სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან: უძილობა, შფოთვა, დეპრესია, რომლებიც სტუდენტებმა სწავლის პერიოდში მიიღეს.სტრესის მიზეზს წარმოადგენდა გაუგებარი სასწავლო მასალები, ბევრი სამუშაო, სასწავლო პროცესის სიახლე, რამაც სტუდენტების ფსიქიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია.

დისტანციური სწავლებისგან მიღებული ცოდნის ხარისხი და მოდიფიცირებული შეფასების სისტემის ეფექტურობა

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სტუდენტთა დიდი ნაწილი შეთანხმდა, რომ არაეფექტურია მოდიფიცირებული შეფასების სისტემა. ისინი მიიჩნევენ რომ ფინალური გამოცდისთვის ქულების 60%-ის მინიჭება დისტანციური სწავლების დროს არალოგიკურია, რადგან ერთი ფინალური ტესტის საფუძველზე შეუძლებელია შეფასდეს სტუდენტის შესაძლებლობები.ასევე სტუდენტს მოდიფიცირებული სისტემა არ აძლევს შესაძლებლობას ფინალურის შემდეგ ქულების გაუმჯობესების. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ შუალედური გამოცდა ერთ-ერთი მოტივაციაა, ისწავლონ ან გაიმეორონ მასალა, რაც აქამდე არ უსწავლიათ და არ გადაუხედავთ. ეს სისტემა კი შეიძლება დისკომფორტის შემქმნელი იყოს იმ სტუდენტებისთვის, ვინც სისტემატიურად არ სწავლობს ან ერთბაშად უწევს კონკრეტული საგნის მასალის სწავლა.

„პირადად მე ვფიქრობ,რომ 60 ქულა ფინალური გამოცდისთვის თავიდანვე ძალიან საშიშად და დამთრგუნველად ჟღერდა, ახლაც ძალიან ბევრია, რადგან მთელი სემესტრის შენი ცოდნა დამყარებულია, იმაზე თუ როგორ დაწერ იმ ერთ ფინალურ გამოცდას, თან არც შანსი გაქვს რომ ეს გამოასწორო, დავუშვათ თუ შუალედურ გამოცდაში დაბალ შეფასებას მიიღებდი, იცოდი რომ ამ კონკრეტულ საგანში უფრო მეტი უნდა გესწავლა და გემუშავა , რომ ფინალური გამოცდა უკეთ დაგეწერა, ასე რომ ყველაფერი ფინალურ გამოცდაზე იყოს დამოკიდებული, არ მიმაჩნია სწორ ნაბიჯად.რა თქმა უნდა, აუცილებელია და გეთანხმებით, რომ თავიდანვე განსაზღვრული უნდა იყოს რაში რა ქულა იწერება, ვიდრე გაუგებრობაში აღმოჩნდე.“(საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, მესამე კურსი, რეგიონი)

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე სტუდენტთა მცირე ნაწილისთვის მოდიფიცირებული შფასების სისტემა ეფექტური აღმოჩნდა( 4 სტუდენტი). მათ ძირითად ფაქტორებად დაასახელეს ქვეყანაში შექმნილი საგანგაშო სიტუაცია და ამ სისტემის ქულათა განაწილების სიზუსტე.

„ასეთი რეჟიმის პროცესში, როდესაც სიტუაცია იცვლება მთელ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში, შეიძლება ასეთი ცვლილებები ახსნადი და გამართლებულიც იყოს, რათა მოხდეს ხარისხიანი შეფასება, სტუდენტის ნასწავლის ან ცოდნის“(საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება მეოთხე კურსი )

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სტუდენების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ონლაინ სწავლებით მიღებული ცოდნა ნაკლებად ხარისხიანი და ნაკლებად საფუძვლიანია აუდიტორიული სწავლით მიღებულზე. სტუდენტების ამგვარი განწყობა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- ცოცხალი ინტერაქციის ნაკლებობა (ლექტორებთან უშუალო კონტაქტი ლექციის დასრულების შემდეგ აუდიტორიული სწავლების პროცესში, რაც დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას გვაძლევდა)
- კონცენტრაციის არ ქონა
- ყურადღების გაფანტვა
- მობილიზების დაბალი მაჩვენებელი

„ პირადად ჩემთვის აუდიტორიაში უფრო ხარისხიან და საფუძვლიან ცოდნას ვიღებდი იმიტომ, რომ როცა ლექციას ვუსმენ დისტნავურად ყურადღება მეფანტება უმნიშვნელო დეტალებზე. შეიძლება გადავიდე სულ სხვა პლათფორმაზე და იქ დავათვალიერო სხვადასხვა რამ, რაც საერთოდ არ ეხება მასალას. ფსიქოლოგიური მომენტია, როდესაც არ შეგიძლია კონცენტრაცია ონლაინ სწავლების დროს, აუდიტორიაში პირისპირ უსმენდი და უყურებდი ლექტორს და უფრო მეტად მობილიზებული იყავი“(სოციოლოგიის მიმართულება, მესამე კურსი, თბილისი)

ნილ კოკემიულერის (Kokemuller, 2011) მოსაზრებას სრულიად ეხმიანება მიღებული შედეგები, რომლის მიხედვითაც ონალიან განათლების ყველაზე დიდ პრობლემად ცოცხალი ურთიერთობების ნაკლებობა მიიჩნევა, რაც სტუდენტებს უქვეითებს ინტერაქციის უნარ-ჩვევებს, როგორც ლექტორებთან, ასევე სხვა სტუდენტებთან. მსგავსი კურსები ელექტრონული ფოსტისა და ვიდეოების საშუალებით მიმდინარეობს,

რაც სტუდენეტებს არ აძლევს საშუალებას, დაინტერესების შემთხვევაშიი, უფრო ღრმად ჩაეძიონ ლექტორებს.

სტუდენტთა ნაწილს ფოკუს-ჯგუფის კვლევის ფარგლებში (6 სტუდენტს) მიაჩნია, რომ დისტანციური სწავლით მიღებული ცოდნის ხარისხი აუდიტორიული სწავლით მიღებულისგან არ განსხვავდება. ამ ყოველივეს მიზეზად დაასახელეს ლექტორების მუშაობის ხარისხი. ასევე, სტუდენტებმა გამოკვეთეს ის ფაქტიც, რომ ცოდნის ათვისება ინდივიდუალურია და მათ ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

„ჩემი აზრი, სტუდენტების ნებისყოფაზეა დამოკიდებული, რადგან ლექტორი იგივე მასალას ხსნის რასაც აუდიტორიაში გვიხსნის, თან ის უპირატესობაა, რომ შეგიძლია რამდენჯერმე მოისმინო ლექცია, თუმცა რთულია ხარისხის განსაზღვრა“. (სოციოლოგიის მიმართულება მეოთხე კურსი, თბილისი)

ერთ-ერთ მონაწილეს მიაჩნია, რომ დისტანციური სწავლით მიღებული ცოდნა მეტ-ნაკლებად ხარისხიანად  შეიძლება მივიჩნიოთ, მან დაასახელა ლექტორების მონდომებულობა და ენთუზიაზმი.

„ მე პირადად არ მქონია სააუდიტორიო პრაქტიკულის გამოცდილება. რასაც ვუყურებ ამ ონლაინ პრაქტიკულებს, ძალიან მონდომებულები არიან ლექტორები და ძალიან ცდილობენ. მე გამიმართლა, რომ კარგი ლექტორები გვყავს თსუ-ში. ჯერჯერობით ნორმალურად მიდის. ალბათ პრაქტიკული დავალებების ხარისხს სემესტრის ბოლოს უფრო გავიგებ. რომ მქონოდა შედარების საშუალება აუდიტორიული და დისტანციური სწავლებაზე, უფრო ზუსტად  შევადარებდი და უფრო სწორ დასკვნას გავაკეთებდი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.“( სოციოლოგიის მიმართულება, მესამე კურსი, თბილისი)

ნენა კემპის და რეიჩელ გრივის (Kemp &  Grieve, 2014) მიერ ჩატარებულ კვლევას ეხმიანება აღნიშნული შდეგი, რომლის მიხედვით, სტუდენტებმა ერთნაირი შედეგები დააფიქსირეს აუდიტორიული და დისტანციური სწავლების დროს. ტენდენცია გამოიხატა, რომ დისტანციური და აუდიტორიული სწავლისას აკადემიური მოსწრების მსგავსი დონის შენარჩუნება სტუდენტებისთის შესაძლებელია, რასაც რა თქმა უნდა, განაპირობებს სტუდენტების მოტივაცია და სწავლაში ჩართულობა.

სტუდენტთა ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასა და ცხოვრების რიტმზე დისტანციური სწავლების გავლენა

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, ის ფაქტი, რომ დისტანციურმა სწავლება უარყოფითი ზეგავლენა იქონია, როგორც ფიზიკურ , ასევე მენტალურ ჯანმრთელობაზე. სტუდენტებმა ჩამოთვალეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჯანმრთელობის გარკვეული სახის პრობლემები, როგორც ფიზიკური ასევე ფსიქიკური. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დისფუნქციები უკავშირდება მხედველობას, უძილობის პრობლემებს და ა.შ  რაც შეეხება, ფსიქიკური პრობლემები უკავშირდება ცოცხალი ინტერაქციების ნაკლებობას, რამაც გაამძაფრა იზოლაციის განცდა სტუდენტებში.

„ მაწუხებს ხერხემლისა და წელის ტკივილი. ზოგჯერ როცა ვაკვირდები ნელ-ნელა რომ ვდგები ერთი საათის განმავლობაში რომ ვზივარ, მერე რომ ავდგები და გავიმართები მაწუხებს ხერხემლის ტკივილი. ასევე რაღაცნაირად ვგრძნობ თავს შებოჭილ სივრცეში, როდესაც ლექციებს ვუსმენ და მიქმნის მენტალურ პრობლემებს“( სოციოლოგია, მეორე კურსი)

ჯენიფერ კაცენშტაინის (Katzenstein, 2019) მიერ ჩატარებულ კვლევას ეხმიანება მიღებული შედეგები, რომელიც ამტკიცებს დისტანციური სწავლების უარყოფით ზეგავლენას სტუდენტთა ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. კაცენშტაინი აღწერს და განმარტავს იმ ფაქტს, რომ ეკრანთან გატარებული დიდი დრო იწვევს დეპრესიას, შფოთვასა და ყურადღების გაფანტვას. ასევე დისტანციურმა სწავლებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სტუდენტთა ძილის რეჟიმზე.  ძილის რეჟიმის რეგულარული ცვლილება იწვავს სხეულის ცირკადულ რიტმზე, ანუ შინაგან ბიოლოგიურ საათზე. ასევე განმართა ისიც რომ სინათლის ზემოქმედება განსაზღვრავს ცირკადულ რიტმს, რომელსაც ადამიანი ინარჩუნებს დღის სინათლეზე გაღვიძებით და სიბნელეში დაძინებით. საღამოს საათებში კომპიუტერის ეკრანის ცისფერმა სინათლემ შესაძლებელია დათრგუნოს ღამის მელატონინის გამოყოფა და შეიცვალოს ცირკადული რიტმი.

ბეთ ჰურსტის, რენდალ უილესისა და სარა ნიქსონის ( Hurst, Wallace, Nixon 2013) მიერ ჩატარებული კვლების მიხედვით გამოვლინდა სოციალური ინტერაქციის ნაკლებობა რაც აისახა უარყოფითად სტუდენთთა განწობასა და მობილიზებაზე. რასაც მოცემული კვლევაც ნათლად ადასტურებს.

კვლევის მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობის აზრით, სოციალიზაციის ნაკლებობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ მოტივაციაზე. ამ ყოველივეზე სტუდენტებმა ჩამოთვალეს და აღნიშნეს შემდეგი მიზეზები“

- ცოცხალი ინტერაქციის ნაკლებობა (სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ დისტანციური სწავლების პირობებში გახდნენ უფრო ჩაკეტილები, რამაც მათი მოტივაციის ნაკლებობა გამოიწვია, ასევე ორმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ჯგუფელებთან ერთად ცოცხალი ინტერაქცია და მათთან ერთად მასალების განხილვა და მეცადინეობა უმართივებდათ მასალის ათვისებას და კონცენტრაციის ხარისხზე უფრო დადებითად აისახებოდა)
- მოდუნებულობა( სოციალიზაციის ნაკლებობამ გამოიწვია სტუდენთა ცხოვრების რიტმის შეცვლა უარყოფითად და ასევე მოდუნება, ისინი გახდნენ ნაკლებად აქტიურები და მათი მოტივაციის დონემაც საკმაოდ დაბლა დაიწია)

„. პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ცოცხალი ურთიერთობები. ჩვენს ასაკში სტუდენტობის ასაკში, განსაკუთრებით სხვაგვარად აღვიქმთ ყველაფერს, სხვა მოლოდინები და მიზნები გავქვს უნივერსიტეტის პერიოდის მიმართაც. პანდემიამ ჩაგვკეტა საკუთარ თავებთან. „

სტუდენტების მცირე ნაწილმა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ( 3 სტუდენტი) მიიჩნევს რომ დისტანციურმა სწავლებამ უარყოფითი გავლენა იქონია ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, მაგრამ არა მენტალურზე. სტუდენტებმა გამოყვეს და ჩამოთვალეს შემდეგი ფაქტორები: მხედველობის გაუარესება, თავის ტკივილი. ასვე აღნიშნეს ის

ფაქტიც რომ მათ უმეტესი დროის გატარება უწევთ სახლში, რამაც შეამცირა ფიზიკური დატვირთვა და გავლენა იქონია მათი ცხოვრების ჯანსაღ წესზე.

კვლევის მონაწილეთაგან ორმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ დისტანციურმა სწავლებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მენტალურ ჯანმრთელობაზე. სტუდენტებმა ძირითად ფაქტორებზე გაამახვილეს ყურადღება ესენია სოციალიზაციის არ ქონა, რაც უარყოფითად მოქმედებს ფსიქოლოგიურ განწობაზე, ეს თავის მხრივ დაკავშირებულია უკვე მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებაზე.

„ პირადად ჩემზე, ძალიან მოქმედებდა ადამიანების ნაკლებობა და უშუალო ურთიერთობების არ ქონა, ფსიქოლოგიურად ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი.“(პოლიტიკის მიმართულება, მესამე კურსი)

კველვის მონაწილეთაგან ორმა სტუდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალიზაციის ნაკლებობამ დადებითი გავლენა იქონია სტუდენტის სწავლის ხარისხზე და მოტივაციაზე. მათ ძირითად ფაქტორებად დაასახელეს კონცენტრაცია და მობილიზება, სოციალიზაციის არ ქონის გამო ისინი უფრო მობილიზებულები იყვნენ სწავლის ხარისხზე.

„ პირადად ჩემს შემთხვევაში, პირიქით მოხდა მარტოობისა და იზოლაციის განცდა დამეხმარა სასურველი მიზნის კონცენტრაციაში. ჩემს შემთხვევაში დადებითი გავლენა იქონია“( საერთაშორისოს მიმართულება, მესამე კურსი, თბილისი)

ანა ქიან სანის და სიუფანგ ჩანის (Qian San & Chan, 2016) მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოვლინდა მსგავსი შედეგები, რომლის მიხედვითაც სტუდენტები ონლაინ სწავლისას, ასევე ლექტორები უფრო მოტივირებულები არიან. ეს ყოველივე განპირობებულია სასწავლო დიზაინის სტრუქტურული გამართულობით, რომელიც მოიცავს ლექციების აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს ასევე პრეზენტაციებს და ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობის დავალების შექმნის საშუალებას.

კვლევის მონაწილეთაგან მხოლოდ ერთი სტუდენტის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე არ მოუხდენია გავლენა დისტანციურ სწავლებას.

ჯესიკა მანგისის (Mangis, 2016) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ონალინ სწავლება საფრთხეს უქმნის ფიზიკურ ჯანმრთელობაას. ამ ყოველივეს კი ხელს უწყობს მჯდომარე ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, რომლის დროსაც ფიზიკური აქტივობა შზღუდულია. ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე, რასაც მოცემული კვლევაც ნათლად ადასტურებს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა შეჯერდა იმაზე, რომ დისტანციურმა სწავლებამ უარყოფითი გავლენა იქონია სტუდენტთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმზე. მათ აღნიშნეს, რომ დისტანციურმა სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, ძირითადი დროის გატარება უწევდათ სახლში, რის გამოც შემცირდა ფიზიკური და სოციალური აქტიურობა, ისინი გახდნენ ნაკლებად მობილიზებულები და მოტივირებულები.

„ რა თქმა უნდა, მეც ვეთანხმები, რადგან ზუსტად გაქვს გათვლილი შენი განრიგი. გაქვს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, რომ აუცილებლად უნდა მიხვიდე უნივერსიტეტში, ასევე ხარ უფრო მეტად მობილიზებული. როცა გაქვს ონლაინ ლექციები, უფრო ნელია თითქოს ყველაფერი გეზარება, რომ გაიღვიძებ უცებ საწოლიდანვე აიღებ ტელეფონს ხელში და ჩართავ ლექციას, მერე გააგრძელებ ძილს დაგრაფიკიც ნაკლებად გაქვს, რამაც გამოიწვია ჩემი აზრით, ყოველდღიური ცხოვრების რიტმის უარესობისკენ შეცვლა“( სოციოლოგიის მიმართულება, მეოთხე კურსი, რეგიონი)

ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა ასეთი მოსაზრება, რომ დისტანციურმა სწავლებამ დადებითი გავლენა მოახდინა სტუდენტთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმზე. მან მიზეზად საცხოვრებელი ადგილის შეცვლა დაასახელა.

„ჩემთვის დადებითია, რადგან მე დავბრუნდი მშობლიურ კუთხეში“(პოლიტიკის მიმართულება, მესამე კურსი)

ერთ-ერთმა მონაწილემ კი თქვა, რომ დისტანციურ სწავლებას არ განუპირობებია სტუდენტთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმის ცვლილება“

„ ჩემთვის დიდი გავლენა არ მოუხდენია პანდემიიას, იგივენაირად დარჩა ყველაფერი, როგორ იყო.“( სოციოლოგიის მიმართულება, მეორე კურსი)

დისტანციური სწავლების საუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმის შეფასება

კვლევის მონაწილე ყველა სტუდენტი მიიჩნევს რომ უნივერსიტეტის ორივე პლადფორმა E-learnig.tsu.ge და Lms.tsu.ge ტექნიკურად გაუმართავია, მათ ასეთ დამოკიდებულებას განაპირობებს შმდეგი ფაქტები:

- ორივე პლადფორმა, გადატვირთულობის გამო, ხშირად იჭედება და მუშაობს შეფერხებით,
- Lms Elearnig-თან შედარებით არის უფრო მოუქნელი პლადფორმა, რადგან ლექტორებსადა სტუდენტებს ამ პლადფორმაზე კომუნიკაციის საშუალება არ აქვთ

„ მეც ყურადღებას გავამახვილებ ხარვეზებზე, ამ შემთხვევაში ინტერნეტის ბრალი არ იყო, ორივე პლატფორმას ჰქონდა ხარვეზი გადატვირთულობის გამო. ორივე პლატფორმასთან პირადად მე ცუდი მოგონებები მაკავშირებს. ერთ საგანში, როცა მქონდა ორ საათიანი გამოცდა, ჯერ დაახლოებით ნახევარი სააათის განმავლობაში არ მიშვებდა გამოცდის დასაწერად შემდეგ გვერდზე, როდესაც გადავედი და დავიწყე წერა დაგვიანებით ეს ნაშრომი არ შეინახა და ვერ გადავაგზავნე, რამაც უფრო დიდი დისკომფორტი და დაძაბულობა შემიქმნა.“

ტრეცი სიცმანის, კეტრინ ელის, ბრედფორდ ბელისა და კრისტინა ბაუერის ( Sitzmann,Ely, Bel, Bauer, 2010) მიერ ჩატარებულ კვლევაში მსგავსი შედეგები გამოვლინდა, რომლის მიხედვითაც ტექნიკური სირთულეების არსებობა აფერხებს სწავლას, რაც ართულებს კონცენტრაციას სასწავლო მასალაზე და იწვევს სტუდენტებში მოტივაციის ნაკლებობას. ეს უკანასკნელი კი მოქმედებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფითად.

ფოკუს-ჯფუფის კვლევის მონაწილე სტუდნეტების უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ დისტანციურ სწავლაში Zoom-ს აქვს ხარვეზი. მათ ასეთ დამოკიდებულებას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- გამოგდება სერვერიდან

- აუდიო ხარვეზი(რაც დაკავშირებულია მიკროფონის ტექნიკურ ხარვეზთან, ანუ ლექციის მსვლელობის დროს ხშირად ითიშებოდა მიკროფონი ლექცია-სემინარების დროს
- დროის შეზღუდვა (რაც დაკვაშირებული იყო 40-წუთიან ლიმიტთან)

„Zoom-თან პრობლემები დიდი ხნის განმავლობაში არ მქონდა, თუმცა ბოლო პერიოდის განმავლობაში ხშირად მაგდებდა გვერდიდან, ტელეფონშიც რამდენჯერმე გადმოვწერე, თუმცა მიკროფონს ჰქონდა ხარვაზი, რა დაემართა ვერ ვიგებ, საბოლოოდ გამოვიდა, რომ ლექციებს დიდხანს ვერ ვესწრებოდი“ (სოციოლოგია, მეოთხე კურსი, თბილისი)

ორმა სტუდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ Zoom პლატფორმა გამართულად მუშაობს და არანაირი პრობლემა არ აქვთ აღნუშნულთან დაკავშირებით

კვლევის მონაწილე ერთ-ერთმა სტუდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დისტანციური სწავლებისთვის სტუდენტებს აუცილებელია სხვადასხვა პლატფორმები შესთვაზონ უნივერსიტეტებმა.

უნივერსიტეტის თანამშრომლობა სტუდენტებთან

კვლევის მონაწილე თითქმის ყველა სტუდენტი შეთანხმდა იმ საკითხზე, რომ უნივერსიტეტი არ თანამშრომლობდა სტუდენტებთან. სტუდენტებმა გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება და ისტორიები. დაგვანახეს ნათლად ის, რომ ადმინისტრაცია არ თანამშრომლობდა სტუდენტებთან და არ ცდილობდა სტუდენტების პრობლემების მოგვარებას. მაგალითად სტუდენეტებისთვის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენდა ადმინისტრაციასთან დაკავშირება, რადგან უნივერსიტეტის ცხელი ხაზი უმეტესწილად დაკავებული იყო, ან საერთოდ არ პასუხობდნენ.

„ როდესაც ცხელ ხაზზე ვრეკავდი არ იღებდნენ ტელეფონს, გადადებყლი ან სულ გათიშულია ან დაკავებული. სტუდენტი ვერ მიაწვდეს ხმას რომ მოაგვაროს  პრომლემა ადამინისტრაციასთან“

კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სტუდენტებთან, მას არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია ადმინისტრაციასთან, მისი ყველა პრობლემა ადმინისტრაციამ უმალვე მოაგვარა.

„ პირადად მე არანაირი პრობლემა არ შემქნია ადმინისტრაციასთან. მაგალითად წინა სემესტრში ვერ მოვასწარი საგნების არჩევა, თუმცა როდესაც მივედი ადმინისტრაციაში გაითვალისწინეს ჩემი თხოვნა და ჩამისვევს ყველა ის საგანი, რაც მე მსურდა“

სტუდენტების არჩევანი აუდიტორიულ და დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით

ჯულიანა ზვალო-მარტინის (Zvalo -Martyn, 2020 ) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტუდენტები დისტანციურ სწავლებას ამჯობინებენ აუდიტორიულ სწავლას , რადგან ეს მათ ფინანსური დანახარჯების შემცირებას, სწავლისა და მუშაობის შეთავსების საშუალებას აძლევს.

კვლევის მონაწილე სტუდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება აირჩიონ თუ როგორ უნდათ ისწავლონ დისტანციური სწავლებით თუ აუდიტორიულით.

- ფინანსური ხარჯების ნაკლებობა (მატერიალური და ფინანსური ხარჯების შემცირება)
- მოქნილი გრაფიკი და დროის მენეჯმენტი, (რაც გულისმობს მგზავრობისას დაკარგული დროის მენეჯმენტს).

ოზლემ ოზანის და იასინ ოზრასლანის (Ozan, Ozaeaslan 2016) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით სტუდენტები გაცდენილ ლექციებს ჩანაწერებით ანაცვლებენ,რაც ეხმარებათ გამოცდების მომზადებაში. კვლევის მიხედვით სტუდენტები, რომლებიც უსმენენ ონლაინ ლექციებს სრულად უფრო მაღალი შეფასება აქვთ ვიდრე სხვა სტუდენტებს.

### 3.3 ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობა უზრუნველყოფილია დისტანციური სწავლებისთვის საჭირო მატერიალური თუ ტექნიკური საშუალებებით. მათ უმეტესობას აქვს ლეპტოპი, კომპიუტერი ან ტელეფონი, უწყვეტი ინტერნეტკავშირი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული საშუალებებით აღჭურვილია ყველა თბილისში მცხოვრები

სტუდენტი, რამდენიმე სტუდენტი, რომლებმაც გამოთქვეს წუხილი მსგავსი ტექნიკის არ არსებობის გამო იყვნენ რეგიონში მცხოვრები.

სტუდენტთა უმეტესობა ასევე უზრუნველყოფილია დისტანციური სწავლებისთვის საჭირო შესაბამისი გარემოთი. მათ, როგორც აღნიშნეს, აქვთ ადგილი, საიდანაც მშვიდად შეძლებენ ჩაერთონ სალექციო პროცესში. თუმცა ამ შემთხვევაშიც იყო რამდენიმე სტუდენტი, მათი თქმით, სამწუხაროდ, არ აქვთ განცალკევებით ადგილი და სივრცის გაზიარება უწევთ ოჯახის წევრებთან.

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობისთვის სწავლის დისტანციუ რეჟიმზე გადასვლის მერე კოვიდის პირობებში მატერიალური და ფინანსური ხარჯები ერთიორად შემცირდა. ხარჯებზე განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილეს რეგიოში მცხოვრებმა სტტუდენტემა. შინ დაბრუნებულებს აღარ უწევდათ დამატებითი ხარჯების გაღება ბინის ქირის გადასახდელად, სხვა დამატებითი ყოველდღიური ხარჯებისთვის მატერიალური რესურსის მოძიება.

ინტერვიუს მიმდინარეობისას ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ კოვიდის დროს სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ მატერიალური და ფინანსური დანახარჯები გაეზარდა. მიზეზად დაასახელა ის, რომ მოუწია მოულოდნელად საჭირო ტექნიკის შეძენა.

ფოკუს-ჯგუფის ყველა მონაწილემ ერთხმად აღნიშნა, რომ სწავლების დისტანციური რეჟიმი მგზავრობისა და ლექციებს შორის არსებული დროის დაზოგვის ხარჯზე, ყოველდღიური გრაფიკი მეტად მოქნილი გახდა, თავისუფალი დროც მეგობრებისთვის, სამსახურისთვის ან სხვა დამატებითი კურსებისთვის მეტი რჩებოდათ. ასევე აღნიშნეს, რომ სწავლების დისტანციური მოდელის დამკვიდრება განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ სტუდენტებისთვის, ვინც პარალელურად არიან დასაქმებული. დღის განმავლობაში უწევთ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მუშაობა.

ყველა სტუდენტი შეთანხმდა, რომ ონლაინ ლექციების ჩანაწერების მოსმენა ხელს უწყობს სასწავლო მასალის უკეთ აღქმას. მითუმეტეს, რომ ნებისმიერ დროს შეგიძლია ხელახლა მოუსმინო და გაიხსენო დეტალები, რომლებიც ერთი მოსმენით შეიძლება არ დაგამახსოვრდეს. შეგიძლია ასევე გაუგებარ, გამოტოვებულ მასალას ხელახლა

მიუბრუნდე. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ დისტანციური სწავლისას მეტად აქვთ შესაძლებლობა იმის, რომ ლექციების გაცდენის შემთხვევაში  არ ჩამორჩნენ სასწავლო მასალას და მალევე აუწყონ ფეხი სწავლების პროცესს.

სტუდენტებმა ასევე გაიხსენეს პანდემიის დროს არსებული ვითარება. მათი თქმით, ლექტორების უმეტესობა სისტემურად, ლექციის დასრულებისთანავე ტვირთავდა მასალას, აუდიო ჩააწერს შესაბამის პლატფორმაზე. მალევე ხდებოდა მათთვის ახსნილი მასალა ხელმისაწვდომი.

იყვნენ სტუდენტებიც, რომლებიც გამოთქმულ მოსაზრებას დაუპირისპირდნენ და მკაცრად უარყვეს ლექტორების მხრიდან მასალის დროულად ატვირთვის ფაქტი. თუმცა აღნიშნეს ისიც, რომ არსებული ვითარება პანდემიის დასაწყისში მეტად კრიტიკული იყო, ეტაპობრივად  დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა.

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ონლაინ ლექციები ნაკლებად ხარისხიანია აუდიტორიაში ჩატარებულ ლექციებთან შედარებით, რადგან უნივერსიტეტს არ გააჩნია შესაბამისი რესურსი სწორად წარმართოს სინქრონული ან დისტანციური სწავლების პროცესი. აშკარა გახდა კოვიდ პანდემიის პერიოდში, რომ ლექტორებიც არ არიან შესაბამისი კომპიუტერული უნარების მქონე. ყველა მათგანმა ხაზი გაუსვა კომუნიკაციის, უკუკავშირის არარსებობის/ ნაკლებობის პრობლემას. საკმაოდ საინტერესო იყო ამ მხრივ ერთ-ერთი ინტერვიუერის მიერ გამოთქმული მოსაზრება, მან აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლებისას ლექტორები გვანან საკუთარ თავთან მოლაპარაკე არსებებს, ამის გამოსასწორებლად კი არ არის საკმარისი მხოლოდ სტუდენტებს დაჟინებით მოვთხოვოთ ვიდეო კამერის ჩართვა. სტუდენტები მეტად ინერტულები ხდებიან და სრულად ეთიშებიან სწავლების პროცესს.

კვლევაში ჩართული ყველა სტუდენტი ერთხმად აღიარებს, რომ ონლაინ სემინარები არაეფექტურია, რადგან სტუდენტებს არ აძლევს ინტერპერსონალური კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარების გამოვლენა-განვითარების საშუალებას. ალბათ, დისტანციური მეთოდი გაცილებით მოსახერხებელია მაშინ, როცა ჯგუფში რამდენიმე სტუდენტია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის თითქმის ყველა მიმართულებაზე სასემინარო საათზე მინიმუმ 30

სტუდენტია რთულია ეფექტურად მოახდინო ცოდნის პრეზენტაცია.სემინარზე ცოდნის გამოვლენის ერთადერთი საშუალება სხვათა ხმების გადაფარვაა, რაც სტუდენტებისთვის ზედმეტად კონკურენტულ და, ამდენად, სტრესულ გარემოს ქმნის. ღიმილით გაიხსენეს ასევე ის ფაქტიც, რომ რაიმეს არცოდნის შემთხვევაში შეგეძლო უბრალოდ დაგეტოვებინა სასემინარო საათი, ლექტორისთვის მიზეზად კი ცუდი ინტერნეტკავშირი დაგესახელებინა.

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობის აზრით, სტუდენტებს დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდათ დისტანციურ სწავლაში ჩასართავად საჭირო უნარ-ჩვევები. მათ აღნიშნეს, რომ თავდაპირველად ძალიან გაურთულდათ, მტკივნეულად გახსენეს 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი. მათი თქმით, აუდიტორიაში ყოფნა და ლექტორთან პირდაპირი კომუნიკაცია ხელს უწყობდათ მობილიზებაში, არააკადემიურ გარემოში ვერ ახდენდნენ კონცენტრაციას. თუმცა, მათი აზრით, დისტანციური სწავლისთვის აუცილებელი ტექნიკური უნარების ათვისება მარტივია და დროთა განმავლობაში ისინი შეეჩვივნენ სწავლის ასეთ რეჟიმს. ასევე ღიად ისაუბრეს იმაზეც, რომ ლექციების პარალელურად ხშირად იყვნენ დაკავებული სხვა საქმით, რაც ხელს უშლიდათ მობილიზებაში.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე სტუდენტები შეთანხმდენენ, რომ ლექტორებს მეტ-ნაკლებად აქვთ დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. მონაწილეებმა დაასახელეს ისეთი ტექნიკური ხარვეზები, როგორებიცაა ონლაინ ლექციებისას ხმის ან ვიდეოთვალის მოულოდნელი გათიშვა, ლექციის გაწყვეტა და ინტენრეტთან დაკავშირებული ხარვეზები.

აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმეტესობის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა. მიზეზად მათ დაასახხელეს გამოცდების, ტესტების სახლიდან წერა, ასევე ლექციების რამდენჯერმე მოსმენის შესაძლებლობა. გამოცდების წერის პროცესში სასწავლო მასალის და კონსპექტების გადაკითხვის საშუალება. ასევე აღნიშნეს ისიც, რომ საგამოცდო მასალების, ტესტებისა თუ დავალებების დაწერაში სტუდენტები ეხმარებიან ერთმანეთს, რაც ბუნებრივია განაპირობებს უკეთესს შედეგებს.

გამონაკლისი აღმოჩნდა ერთი რესპოდენტი, რომლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელიც საგრძნობლად გაუარესდა სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ. თავად, ამის მიზეზად დაასახელა ონლაინ ლექციებზე დასწრების არაეფექტურობა. ხშირ შემთხვევაში არ ესწრებოდა ლექცია-სემინარებს, შესაბამისად დასწრება, აქტირუობაში ქულები მუდამ აკლდებოდა.

სტუდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ონლაინ ლექციები აუდიტორიაში ჩატარებულ ლექციებზე ნაკლებად დამღლელია, რადგან შეუძლიათ ონლაინ ლექციებს მათთვის კომფორტული გარემოდან დაესწრონ. სტუდენტებმა იცოდნენ, რომ რაიმეს ვერ გაგების შემთხვევაში მათ ჰქონდათ საშუალება ხელთავიდან მოესმინათ ჩანაწერისთვის, რაც მათ მოდუნების უფლებას აძლევდა.რაც შეეხება მასალის ათვისებას, ფოკუს-ჯგუფების მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობისთვის სასწავლო მასალის ათვისება იგივე სირთულის აღმოჩნდა, როგორიც აუდიტორული სწავლისას იყო. ამის მიზეზად მათ ერთი და იმავე სილაბუსით გათვალისწინებული მასალა დაასახელეს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთაგან სამმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ონლაინ ლექციები აუდიტორიაში ჩატრებულ ლექციებზე უფრო დამღლელიც კია. ასეთი განწყობა მათში, როგორც აღმოჩნდა, განაპირობა იმან, რომ ლექციებში ჩართვის შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდათ, მხოლოდ კომპიუტერთან ჯდომა საათობით კი ძალიან დამღლელი და უინტერესო იყო მათთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ დისტაციურ რეჟიმში ჩატარებული გამოცდები, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა უმეტესობას უქმნის კომფორტის ზონას, არაეფექტური და უხარისხოა. შევძელით იმ პრობლემების გამოყოფა, რამაც გამოიწვია მსგავსი შედეგი. კერძოდ კი :

- თსუ-ის მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული E-learning პლატფორმა მუშაობდა ხარვეზებით. ხშირად იჭედებოდა და დიდ დროს საჭიროებდა.
- ინტერნეტთა დაკავშირებული სხვადასხვა სახის ხარვეზები
- საგამოცდო კითხვებზე პასუხების გაცემისას მასალის გადაწერის შესაძლებლობა.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული მოდიფიცირებული შეფასების სისტემა ონლაინ სწავლებისთვის ეფექტური არ აღმოჩნდა. ერთხმად შეთანხმდენე იმაზეც, რომ მსგავსი ტიპის ტესტური გამოცდები არ

აძლევს სტუდენტს არსებული ცოდნის სრულად გამოვლენის საშუალებას. მთავრია არის, რომ უმრავლება აღიარებს კოვიდ პანდემიის პირობებშ მიღებული განათლების ხარისხის შეუსაბამობას თანამედროვე სტანდარტებთან. შეჯამებისთის კიდევ ერთხელ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ განწყობის განმაპირობებელ ფაქტებს :

- ცოცხხალი ინტერაქციების ნაკლებობა
- ყურადღების გაფანტვა ლექციის მიმდინარეობისას
- კონცენტრაციის ნაკლებობა
- დაბალი მოტივაცია
- ნაკლები მობილიზება

დისტანციურმა სწავლებამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია სტუდენტთა ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობაზე. ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ დისფუნქციებში იგულისხმება უძილობის პრობლემა, მხედველობის გაუარესება, გახშირებული თავის ტკივილები და ა.შ. ასევე, კვლევის მიმდინარეობისას ერთერთმა სტუდენტმა გააჟღერა ის, რომ დისტანციური სწავლების დროს მუდმივად უწევდათ ჯდომა, რამაც მათი ცხოვრების ჯანსაღი წესი საგრძნობლად შეცვალა. მენტალური პრობლემებიდან ახსენეს მათ მხოლოდ ცოცხალი ინტერაქციების ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახა სტუდენტთა მოტივაციაზე, მობილიზებასა და სწავლის ხარისხზე.

სტუდენტთა უმრავლესობა საუბრობდა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული პლატფორმების e-learning.tsu.ge; lms.tsu.ge და ZOOM-ის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ. მსგავსი სახის ტექნიკური ხარვეზები ართულებს სწავლების პროცესის მიმდინარეობას, რაც ბუნებრივია ზეგავლენას ახდენს სტუდენტთა კონცენტრაციაზე, იწვევს დემოტივაციას მათში. შედეგები აუცილებლად აისახება საბოლოოდ აკადემიური მოსწრების ხარისხზე. სტუდენტებში მსგავსი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მათ რამდენიმე ფაქტორით ახსნეს:

- Lms, e-learning პლატფორმები ხშირად იჭედება, მუშაობს ხარვეზებით
- Lms, e-learning პლატფორმები არ იძლევა საშუალებას ლექტორებსა და სუდენტებს ჰქონდეთ ერთმანეთთან ხშირი და აქტიური კომუნიკაცია.

- Zoom პლატფორმა ასევე გაუმართავია, მითმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქვს 40 წუთიანი ლიმიტი. ლექციები, რომლებიც ორი ან მეტი სააათი მიმდინარეობს, მინიმუმ ორჯერ წყდება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვთხოვეთ სტუდენტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, რაში ხედავდნენ გამოსავალს. როგორ შეიძლება უნივერსიტეტებმა დაამკვიდრონ სწავლების სინქრონული/დისტანციური მეთოდი ნაკლები ხარვეზებით. ერთ-ერთმა მათგანმა გამოთქვა აზრი, რომ აუცილებელია უნივერსიტეტებმა ალტერნატიული მეტად გამარტული პლატფორმები მოიძიონ ან იზრუნონ არსებულის გაუმჯობესებაზე.

რესპოდენტთა შეფასებით, მთავრია პრობლემა არის ის, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად არ თანამშრომლობს სტუდენტებთან და ლექტორებთან. არაერთხელ აღნიშნეს, რომ უჭირთ დროულად მიაწვდინონ ხმა ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ასევე მიიღონ ნებისმიერ საკითხზე მათგან მხარდაჭერა და თანამშრომლობის მზაობა.

ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ ვკითხეთ რესპოდენტებს მიაჩნიათ თუ არა, რომ არსებული გამოცდილების შემდეგ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი რესურსი სტუდენტებს შესთავაზოს სწავლების დისტანციური მეთოდი აუცილებლობის შემთხვევაში. პასუხი, როგორც მოველოდით, ნეგატიური აღმოჩნდა, მაგრამ მათ აღიარეს, რომ უპირობოდ აუცილებელია უნივერსიტეტმა აიღოს ვალდებულება სტუდენტებს მისცეს არჩევანის საშუალება. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მათ რამდენიმე არგუმენტი გამოყვეს :

- ფინანსური ხარჯების ნაკლებობა ( ანსაკუთრებით ამ ფაქტს ხაზი გაუსვეს სტუდენტებმა, რომლებიც რეგიონებში ცხოვრობენ)
- მოქნილი გრაფიკი და დროის მეტად ეფექტურად განაწილების საშუალება
- ჩაწერილი ვიდეო, აუდიო ლექციების მოსმენის შესაძლებლობა, რაც უმარტივებს სტუდენტებს მასალის აღქმას. გაცდენის შემთხვევაში კი აქვთ საშუალება მალე აუწყონ ფეხი სწავლის პროცესს.

### 3.4 შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის მიზანი გახლდათ შეგვესწავლა ონლაინ სწავლების უპირატესობები და გამოწვევები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე. კვლევის ობიექტი ჩვენი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდების ფოკუს ჯგუფის საშუალებით. ჩატრდა სამი ფოკუს ჯგუფი, რომელშიც 6 რესპონდენტი იღებდა მონაწილეობას.

თავიდანვე ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო არიან თუ არა სტუდენტები უზრუნველყოფილნი დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალური-ტექნიკური საშუალებებით, აქვთ თუ არა ლეპტოპი ან კომპიუტერი და უმთავრესი შესაბამისი გარემო, საიდანაც შეძლებენ ლექციებს დაესწრონ რეგულარულად. კვლევისას გავითვალისწინეთ ის გარემოებო, რომელიც შეიქმნა სულ რაღაც ერთი წლის წინ, კოვიდ პანდემიის პირობებში. მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე გვსურდა დაგვეზუსტებინა რამდენად მოსახერხებელი შეიძლება იქნეს სტუდენტებისთვის სამომავლოდ ლექციებზე დასწრების სინქრონული ან სულად ონლაინ რეჟიმი. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც თბილისში ასევე რეგიონში მცხოვრებმა სტტუდენტებმა, ჩვენი მიზანი მეტად იყო რეგიონში მცხოვრები სტუდენტების საჭიროებების გამოვლენა და დადგენა იმის მათთვის არის თუ არა მოსახერხებელი სწავლების ონლაინ რეჟიმი.

დისტანციური სწავლისას სტუდენტები ახერხებენ ერთმანეთს შეუთვსონ სწავლა და მუშაობა. თითქოს კოვიდის პერიოდში სტუდენტთა გრაფიკი მეტად მოქნილი გახდა, რადგან მათ დამატებით არ უწევდათ საათების დაკარგვა საცობებში, ლექციებს შორის არსებული დროც ტყულად არ იფლანგებოდა. დასაქმებული სტუდენტები მეტად აქტიური გახდნენ, ნებისმიერი ლოკაციიდან შეეძლოთ დასწრებოდნენ ლექციებს ან

გაცდენილი ლექციების აუდიო ჩანაწერი მოესმინათ დღის ბოლოს elearning – ის სასწავლო პლატფორმაზე.

ონლაინ ლექციების ჩანაწერების ნებისმიერ დროსა და ადგილას მოსმენა სტუდენტებს ეხმარება სასწავლო მასალის აღქმაში, დავალებების უკეთ შესრულებასა და გამოცდებისთვის მომზადებაში. ლექციების კომფორტული გარემოდან მოსმენა სწავლების პროცესს მეტად სასიამოვნოს ხდის. პროცესი ხდება ნაკლებად სტრესული და კომფორტული.

დისტანციური სწავლისას ლექციები და სემინარები ნაკლებად ხარისხიანია. სტუდენტები კოვიდ პანდემიის დროს უჩიოდნენ ლექტორთა მოუმზადებლობას დისტანციური სწავლების პროცესში ჩასართავად. სოციალიზაციის ნაკლებობა კი იწვევს სტუდენტთა ინერტულობასა და უკუკავშირის არარსებობას. ონლაინ სემინარები მათ ვერ უვითარებთ ინტერპერსონალური კომუნიკციის და პრეზენტაციის უნარებს. ვერ ახერხებენ სტუდენტები ცოდნის სრულად რეალიზებას.

დისტაციური სწავლისას სტუდენტებს უვითარდებათ ინტერნეტით სარგებლობის, ვირტუალურად მუშაობის და სხვა ტექნიკური უნარ-ჩვევები. გამოკვეთა ისეთი ტექნიკური სახის პრობლემები, როგორებიცაა ონლაინ ლექციებისას ხმის ან კამერის მოულოდნელი გათიშვა, სალექციო პროცესის შეჩერება და ინტერნეტთან დაკავშრებული სხვა ხარვეზები.

სტუდენტები მიიჩნევენ, რომ დისტანციური სწავლა ფინანსურად მომგებიანია, რადგან მათ შეუძლიათ დაზოგონ თანხა, შეამცირონ ისეთი ხარჯები როგორებიცაა ტრანსპორტის და ბინის ქირა. სწავლის კიდევ ერთ უპირატებოსად სტუდენტებმა მიიჩნიეს გამოცდების დისტანციურად წერის საშუალება. ამან მეტად გააუმჯობესა სტუდენტთა ნიშნები, აკადემიური მოსწრების ხარისხი.

დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული გამოცდები უხარისხოა. სტუდენტთა უკმაყოფილება კოვიდ პანდემიის დროს განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვნმა ფაქტორმა: უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული პლატფორმა არ იყო ხარისხიანი, უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული მოდიფიცირებული შეფასების სისტემა, რომელიც  დისტანციური სწავლისთვის არაეფექტური აღმოჩნდა.

დისტანციურმა სწავლებამ უარყოფითი გავლენა იქონია სტუდენტთა ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობაზე. ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშიებული დისფუნქციები უკავშდება უძილობის პრობლემებს, მხედველობის გაუარესებას, თავის ტკივილს და ა.შ. მენტალური პრობლემები - ცოცხალი ინტერაქციების ნაკლებობას, რაც, თავის მხრი, უარყოფითად აისახა სტუდენტთა განწყობასა და მოტივაციაზე.

კვლევის მონაწილეთა უმეტესობა საუბრობდა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული საკომუნიკაციო პლატფორმების ტექნიკური გაუმართაობის შესახებ. სტუდენტთა უმეტესობის თქმით, უნივერსიტეტი არ თანამშრომლობდა სტუდენტებთან შესაბამისად. მათ უჭირდათ ადმინისტრაციამდე ხმის მიწვდენა.

სტუდენტებმა ასევე ძალიან საინტერესო ფაქტს გაუსვეს ხაზი. მათი თქმით, აუცილებელია მიეცეთ საშუალება თავად გააკეთონ არჩევანი აუდიტორიულ და  ონლაინ სწავლას შორის. მათ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ჩამოთვალეს შემდეგი არგუმენტები : არსებული ხარჯების შემცირება, მოქნილი გრაფიკი, პარალელურად მუშაობის შესაძლებლობა, ლექციების ჩანაწერების ხელმეორედ მოსმენის შანსი. მათ აღნიშნეს ისიც, რომ მართალია პანდემიის დროს იყო ძალიან ბევრი ხარვეზი, მაგრამ თუ შემუშავდება შესაბამისი სისტემა,  სინქრონული ან სრულად დისტანციური სწავლების მეთოდი ადაპტირებადია.

ბიბლიოგრაფია


1. ახალი ამბების ყოველკვირეული ამერიკული ჟურნალის საიტი https://theweek.com/
2. ელექტრონული ქართული ლექსიკონი https://www.ganmarteba.ge/
3. ზურაბიშვილი, თ. (2006): თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
4. ინფორმაციული ვებ-საიტი გარემოს დაცვის პრობლემებსა და მის გადაჭრის გზებზე, ასევე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქრებსა და ტურიზმის შესახებ https://ekofact.com/
5. პორტალი, რომელიც შექმნილია საქართველოში განათლების განვითარებისა და სრულყოფის ხელშესაწყობად http://education.ge/
6. სამოქალაქოჟურნალისტიკისქართულიპლატფორმა http://intermedia.ge/
7. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა https://www.nplg.gov.ge/
8. Allen, E., Seaman, J., (2011). Grade Increase: Tracking Distance Education in the United States https://www.babson.edu/
9. Akers, C. (2013). Comparison of course completion and student performance through online and traditional courses. *Int. Rev. Res. Open Dist. Learn.* 14, 104–116. doi: 10.19173/irrodl.v14i4.1461
10. Backman, J. (2019). Students' Experiences of Cheating in the Online Exam Environment. https://www.theseus.fi/
11. Bell, B. S., & Fedeman, J. E. (2013). E-learning in postsecondary education. The Future of Children, 23(1), 165-185.
12. Bigelow, C. A. (2009). Comparing student performance in an online versus a faceto face introductory turfgrass science course-a case study. NACTA J. 53, 1–7.
13. Campbell, L. O., Planinz, T., Morris, K., Truitt, J. (2019) Investigating Undergraduate Students' Viewing Behaviors of Academic Video in Formal and Informal Settings. *College Teaching* 67:4, pages 211-221

14. Chan, X., Qansan A. (2016). Online Education and Its Effective Practice: A Research Review. Journal of Information Technology Education research, 157-190
15. Driscoll, A., Jicha, K., Hunt, A. N., Tichavsky, L., and Thompson, G. (2012). Can online courses deliver in-class results? A comparison of student performance and satisfaction in an online versus a face-to-face introductory sociology course. *Am. Sociol. Assoc.* 40, 312–313.
16. Gorissen, P. J. B. (2013). Facilitating the use of recorded lectures : analysing students' interactions to understand their navigational needs. Technische Universiteit Eindhoven, 47.
17. Hurst, B., Wallace, R., & Nixon, S. B. (2013). The Impact of Social Interaction on Student Learning. *Reading Horizons: A Journal of Literacy and Language Arts, 52* (4). Retrieved from https://scholarworks.wmich.edu/reading_horizons/vol52/iss4/5
18. Katzenstein, J; (2019). Impact of remote learning on children of all ages, The Johns Hopkins University News-Letter https://www.jhunewsletter.com/
19. Kemp, N., and Grieve, R. (2014). Face-to-Face or face-to-screen? Undergraduates' opinions and test performance in classroom vs. online learning. Front. Psychol. 5:1278. doi: 10.3389/fpsyg.2014.01278
20. Kokemuller, N. (2011). What are advantages of onlilne colleges. https://education.seattlepi.com/
21. Lundberg, J., Castillo-Merino, D., and Dahmani, M. (2008). Do online students perform better than face-to-face students? Reflections and a short review of some Empirical Findings. *Rev. Univ. Soc. Conocim.* 5, 35–44. doi: 10.7238/rusc.v5i1.326
22. Maloney, S., Nicklen, P., Rivers, G., Foo, J., Ooi, Y. Y., Reeves, S., et al. (2015). Cost-effectiveness analysis of blended versus face-to-face delivery of evidence-based medicine to medical students. *J. Med. Internet Res.* 17:e182. doi: 10.2196/jmir.4346
23. Mathes, J., (2019). Digital Learning Pulse Survey: Immediate Priorities https://www.bayviewanalytics.com/
24. Mouzourakis, P. (2006). Remote Interpreting: A technical perspective on recent experiments. Interpreting, Volume 8, issue 1, p.45-66
25. Ozan, O., Ozarslan, Y. (2016). Video lecture watching behaviors of learners in online courses, 27-41

26. Paul, J; Jefferson, F. (2019) A Comparative Analysis of Student Performance in an Online vs. Face-to-Face Environmental Science Course From 2009 to 2016, https://www.researchgate.net/
27. Paechter, M., Maier, B. (2010). Online or face-to-face? Students' experiences and preferences in e-learning. The Internet and Higher Education 13(4):292-297
28. Richardson, J. C., and Swan, K. (2003). Examining social presence in online courses in relation to student's perceived learning and satisfaction. *J. Asynchr. Learn.* 7, 68–88.
29. Roval, A. P., and Jordan, H. M. (2004). Blended learning and sense of community: a comparative analysis with traditional and fully online graduate courses. *Int. Rev. Res. Open Dist. Learn.* 5. doi: 10.19173/irrodl.v5i2.192
30. Salcedo, C. S. (2010). Comparative analysis of learning outcomes in face-to-face foreign language classes vs. language lab and online. J. Coll. Teach. Learn. 7, 43–54.
31. Sloboda, J. A. (2007). Combating Examination Stress among University Students: Action Research in an Institutional Context, 124-136.
32. Sutterlin, J. (2018). Learning is Social with Zoom Video Conferencing in your Classroom. https://elearnmag.acm.org/
33. Stern J., 2005, Introduction to Online Teaching and Learning, ამოღებულია დასავლეთ ლოს ანჯელესის კოლეჯის საიტიდან http://www.wlac.edu/
34. Sitzmann, T., Ely, K., Bell, B. S. & Bauer, K. N. (2010). The effects of technical difficulties on learning and attrition during online training. Journal of Experimental Psychology: Applied, 16(3), 281-292.
35. Zvalo-Martyn, J. (2020). Why My Students Like Online Learning. https://www.aacu.org/blog/why-my-students-online-learning